

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის სხდომის

ოქმი N 3

2022 წლის 01 მარტი

ქ. ლაგოდეხი

სხდომას დაესწრნენ: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის
უფროსი ივანე წიქარიშვილი, კარლო ჯამბურია, გიორგი ღამბაშიძე, ივანე ხაჩიძე.

1. მოისმინეს: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის N გ-
93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ცვლილება ეხება განჯალის სასოფლო-სამეურნეო
(სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი- 49177 კვ.მ. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამატების
საკითხს.

აზრი გამოთქვას: ვახტანგ დევძემ, ისაკო ცქიფურიშვილმა.

მომხრე: 7 წევრი

წინააღმდეგი: 4 წევრი- ვ. დევძე, ხ. ბოჭორიშვილი, ი. ცქიფურიშვილი, ვ. კაპანაძე

2. მოისმინეს: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის N 14
განკარგულების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ საკითხი ეხება ა) 2 მიწის ნაკვეთის, კერძოდ, სოფ.
თამარიანში მდებარე მიწის ნაკვეთის-164119 კვ.მ. და სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-
სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი- 49177 კვ.მ. საპრივატიზებო ობიექტების
ნუსხიდან ამოღებას და

ბ) 5 მიწის ნაკვეთის, კერძოდ, სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო
(სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი- 81439 კვ.მ. სოფ. ჭიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო
(სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი- 25440 კვ.მ. სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-

სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი- 61500 კვ.მ. სოფ. ჭაბუკიანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი-300045 კვ.მ. და სოფ. ფონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის, ფართობი-22037 საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამატების საკითხს.

აზრი გამოთქვას: ვ. დევიძემ, ი. ცქიფურიშვილმა.

მომხრე: ა) პუნქტი - 11 წევრი; ბ) ქვეპუნქტი - 8 წევრი;

წინააღმდეგი: 3 წევრი- ვ. დევიძე, ხ. ბოჭორიშვილი, ვ. კაპანაძე

3. მოისმინეს: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების 400(ოთხასი) ცალი 50 ვატისანი ლედ-სანათის „ლაგოდეხის სერვის ცენტრი“-სთვის, თხოვების ფორმით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ვ. დევიძემ.

მომხრე: 11 წევრი


4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ქ. ლაგოდეხში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი გამოანგარიშდებოდეს მიწის ნორმატიული ფასის, ქ. ლაგოდეხის მაკრომდებარეობის ინდექსის, ლოკალური ტერიტორიული ინდექსის, მიწის საბაზისო განაკვეთის და მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტების გათვალისწინებით. აღნიშნული გაანგარიშება წარმოდგენილია დანართის სახით.

აზრი გამოთქვას: ვ. დევიძემ, ი. ხაჩიძემ, გ. ღამბაშიძემ.

მომხრე: 11 წევრი

სხდომის თავმჯდომარე



ო. შველიძე